კულტურულ-შემოქმედებითი რადიომაუწყებლობის ლიცენზია

კულტურულ-შემოქმედებითი რადიომაუწყებლობის ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. კომისიის მიერ კულტურულ-შემოქმედებითი რადიომაუწყებლობის ლიცენზია გაიცემა ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე, რომლის შესაბამისად, ლიცენზიის მაძიებელს კანონმდებლობით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე, კულტურულ-შემოქმედებითი რადიომაუწყებლობის უფლება ენიჭება.

ლიცენზიის მაძიებელმა კულტურულ-შემოქმედებითი რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას უნდა წარუდგინოს:

- ✓ წერილობითი განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი, განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს, მოთხოვნას, განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას, განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში;
- ✓ იგი ასევე უნდა შეიცავდეს მითითებას, თუ საქმიანობის ლიცენზიის რომელი სახის მიღებას მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი, და თანდართული საბუთების ნუსხას;
- ✓ განცხადებას უნდა ერთვოდეს კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები;
- ✓ განცხადებას უნდა ერთოდეს სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი;
- ✓ განმცხადებელს უფლება აქვს წარუდგინოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ყველა სხვა საბუთი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელმა განცხადებას დამატებით თან უნდა დაურთოს:

- ✓ შესაბამისობის დეკლარაცია;
- ✓ ფიზიკური პირისათვის – ამ პირისა და მისი ოჯახის წევრების ქონებრივი დეკლარაცია;
- ✓ იურიდიული პირისთვის – ცნობა ნებადართული კაპიტალისა და მისი განაღდებული ნაწილის შესახებ, ცნობა აქტივებისა და პასივების შესახებ, ინფორმაცია განთავსებული კაპიტალისა და აქტივების საკუთრებისა და

წარმოშობის შესახებ, მნიშვნელოვანი წილის მფლობელ პარტნიორთა/აქციონერთა ქონებრივი დეკლარაციები;

- ✓ პრაქტიკული საქმიანობის დაწყების ვადა;
- ✓ განსახორციელებელი საქმიანობის დაფინანსების გეგმა და ინფორმაცია დაფინანსების წყაროების შესახებ;
- ✓ დოკუმენტაცია პროგრამების გავრცელებისათვის გამოსაყენებელი ტექნიკური საშუალებების შესახებ;
- ✓ განსახორციელებელი სამაუწყებლო კონცეფცია, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს რადიომაუწყებლობის პრიორიტეტებსა და ამ კანონით განსაზღვრულ პროგრამულ მოთხოვნებს;
- ✓ სალიცენზიო გადასახდელის 10%-ის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. ეს თანხა ჩაირიცხება კომისიის ანგარიშზე. ლიცენზიის მიუღებლობის შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელს კომისიისათვის წერილობითი განცხადების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში უბრუნდება აღნიშნული თანხა, საბანკო მომსახურების ხარჯების გამოკლებით. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი დარჩენილ თანხას გადაიხდის კომისიის მიერ დადგენილი წესით.

„სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით, კულტურულ-შემოქმედებითი რადიომაუწყებლობის ლიცენზიისთვის დადგენილი სალიცენზიო მოსაკრებელია 2,000 ლარი.

ნორმატიული აქტები:

- ✓ საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ https://matsne.gov.ge/document/view/26824?publication=111

- ✓ საქართველოს კანონი „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ https://matsne.gov.ge/document/view/12880?publication=86

- ✓ საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=82